1. ბავშვთა და მოზარდთა სტომატოლოგიისა და სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის მიმართულება

1.1 ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგიის დეპარტამენტი

პროფესორი
თამარ შიშნიაშვილი
დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ასოცირებული პროფესორი
ნანა ყიფიანი

ასისტენტ - პროფესორი
მაია ფხალაძე

1.2 ბავშვთა და მოზარდთა ყბა-სახის ქირურგიისა და ქირურგიული სტომატოლოგიის დეპარტამენტი

პროფესორი
ზურაბ ვადაჭკორია
დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ასოცირებული პროფესორი
ქეთევან კობახიძე

მარცხნიდან მარჯვნივ: გელა იმერლიშვილი - ლაბორანტი ; თამარ სულაძე - მოწვეული პედაგოგი; ნინო ხვედელიანი - მოწვეული პედაგოგი; ნანა ყიფიანი - ასოცირებული პროფესორი; ქეთევან კობახიძე ასოცირებული პროფესორი; ზურაბ ვადაჭკორია - პროფესორი; თამარ შიშნიაშვილი - პროფესორი; მაია ფხალაძე - ასისტენტ-პროფესორი; სოფიო ჯაფარიძე - მოწვეული პედაგოგი; ნანა სულაძე -მოწვეული პედაგოგი; მაია აზიკური -მოწვეული პედაგოგი; გიორგი ღიბრაძე - მოწვეული პედაგოგი.

ბავშვთა ასაკის სტომატოლოგიისა და სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის კათედრა დაარსდა 1979 წელს კურსის სახით. 1991 წელს კურსი გადაკეთდა კათედრად. 1979 წლიდან 1992 წლამდე ჯერ კურსს, ხოლო შემდეგ კათედრას ხელმძღვანელობდა პროფესორი მარიამ გრიგალაშვილი. 1979-2006 წლებში კათედრა მოიცავდა სამ მიმართულებას: ბავშვთა ასაკის ქირურგიულ სტომატოლოგიას, ბავშვთა ასაკის თერაპიულ სტომატოლოგიას და ორთოდონტიას. 2006 წლიდან კათედრას ეწოდა ბავშვთა და მოზარდთა სტომატოლოგიისა და სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის დეპარტამენტი, რომელიც აერთიანებდა ორ მიმართულებას: თერაპიულ სტომატოლოგიას და ქირურგიულ სტომატოლოგიას. 2017 წლიდან დეპარტამენტი გადაკეთდა მიმართულებად და დღეს იგი აერთიანებს ორ დეპარტამენტს: ბავშვთა და მოზარდთა თერაპიულ სტომატოლოგიას, რომელსაც ხელმძღვანელობს პროფესორი თამარ შიშნიაშვილი და ბავშვთა და მოზარდთა ყბა-სახის ქირურგიისა და ქირურგიული სტომატოლოგიის დეპარტამენტს, რომელსაც ხელმძღვანელობს პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია.